სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 სექტემბერი 2026

N 21/12921

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

კრწანისის რაიონის გამგეობას

სამგორის რაიონის გამგეობას

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 27 აგვისტოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა **შპს „იგლ ჰილს საქართველოს“ ინიციატივით დაგეგმილი თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ნაწილის განაშენიანების გეგმის კონცეფციის შესახებ სკოპინგის განცხადება.** სგშ-ის სკოპინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/2b2a2717-795c-44c2-9133-9f8fc056f654.

სგშ-ის სკოპინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა საზოგადოებას/დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია 2026 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით:

- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნებისა და მოსაზრებების ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნისას ადრესატად მიუთითოთ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო);

- სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №99 ან ელფოსტაზე: info@ncdc.ge.

სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს მე-20 სამუშაო დღისა და არაუგვიანეს 25-ე სამუშაო დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ინდივიდუალურად გასცემენ სკოპინგის დასკვნებს. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევებისა და მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის შესახებ ინფორმაციას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და **გთხოვთ, უზრუნველყოთ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სკოპინგის განცხადების განთავსება გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე, კრწანისის და სამგორის რაიონების გამგეობების საინფორმაციო დაფებზე, აგრეთვე აღნიშნული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გარდაბნის და თბილისის მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებგვერდებსა და Facebook-ის გვერდებზე გამოქვეყნება** და გამოქვეყნების/განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,
არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12921-21-2-202609020905